შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.733)

21-28 მაისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

წყალი და ჯანსაღი ცხოვრების წესი – ჯანმრთელობის საწინდარია...

გამარჯვებაში ახალგაზრდული კომპიუტერული ცენტრი გაიხსნა

გვ.3

გვ.8

კლასიკური მუსიკის ზეიმი

გვ.6

ქართველებს ღმერთმა ყველაფერი მოგცა, მაგრამ ვერ ვიყენებთ ამ მადლიან გარემოს!

ოჯახში ძალადობის საკითხებზე თვითმმართველობის როლი იზრდება

გვ.7

„სკოლის სევდა“ ანუ ამბავი გაბრუებული მერცხლებისა

გვ.8



C M Y K

ზეპირსიტყვიერად ნათქვამი სიბრძნე ცხოვრებისა

18 მაისი ტრადიციულად მუზეუმების საერთაშორისო დღეა. ამ დღეს აღნიშნავენ ყველა ქვეყანაში, რადგან მუზეუმი ეს ის დაწესებულებაა, სადაც ქვეყნის და მსოფლიოს პოლიტიკური ისტორიები, კულტურა და ხელოვნება, მეცნიერება და წეს-ჩვეულებებია დავანებული. ასეა ჩვენს პატარა მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც. აქ ჩვენი რაიონის ისტორიაა დასაბამიდან დღემდე. აქ მომუშავე პერსონალი ცდილობს, წლიდან წლამდე გამართოს სხვადასხვა ღონისძიება და მსმენელს მოუთხროს იმ საგანძურზე, რომელიც მის დარბაზებში ინახება მატერიალური თუ სულიერი თვალსაზრისით. ეს კოლექტივი ყოველი წლის 18 მაისს პროფესიულ დღესასწაულს რაიმე მნიშვნელოვანი თემით აღინიშნავს. ასე იყო ამჯერადაც: მათ მწყემსი მოლექსე მოსე ქურხულიშვილი გაიხსენეს, კაცი, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდა, არც რითმის მოწყობის ტექნოლოგია უსწავლებია მისთვის ვინმეს, მაგრამ გულიდან ამოხეთქილ გრძნობებს მშვენიერ ლექსებად კინძავდა და ფანდურზე დაამღერებდა კიდეც.



დარბაზიც შესაბამისად იყო გაფორმებული: კედელზე ეკიდა მისი ნაქონი ფანდური, ხანჯალი და მისი საკონცერტო ეროვნული ტანსაცმელი - ჩოხა-ახალუხი და ყაბალახი, რომელიც მისმა ახლობლებმა მუზეუმს უანგაროდ აჩუქეს. იქვეა ნანყვეტი სწავლას მონატრებული მწყემსის ლექსიდან - „სწავლა შენია საუნჯე, ვით ძმა და მეგობარია“, სტენდზე კი საპატიოდ არის გამოფენილი აფიშები, რომელიც საზოგადოებას ამცნობს, რომ გაიმართება მწყემსი პოეტის მოსე ქურხულიშვილის კონცერტი. ამ კონცერტებზე, რომელსაც ის მთელი საქართველოს მასშტაბით მართავდა, იგი კითხულობდა და ფანდურზე თუ სალამურზე ამღერებდა საკუთარ ლექსებს სამშობლოს სიყვარულზე, მის მთა-ველზე, ყოფით პრობლემებსა თუ მიღწევებზე, ტრადიციებზე და, რა თქმა უნდა, სიყვარულზე.

ღონისძიება გახსნა და თანამშრომლებს დღესასწაული მიულოცა მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა. „ მუზეუმი ის ადგილია, სადაც დაუნჯებულია წარსული, რომელმაც უნდა გვასწავლოს მომავალი,“– ასე განსაზღვრა მან მუზეუმის დანიშნულება და სიტყვა გადასცა თანამშრომლებს, რომლებმაც საინტერესოდ წარმოადგინეს მწყემსი მოლექსის ცხოვრება და შემოქმედება.

მოსე ქურხულიშვილის ბიოგრაფია დამსწრეთ მუზეუმის სპეციალისტმა ლალი ბასილაშვილმა გააცნო.

საქართველო პოეზიისა და მხატვრული მეტყველების ქვეყანაა. წარსულში, ტანჯვისა და ცრემლების დროს ქართველი ერი პოეზიით ინუგეშებდა თავს. წარმართული ლოცვები, საგალობლები, საოჯახო ლექსები, თქმულებები სიყვარულისა და ხალხის კულტურული მეობის მაჩვენებელია.

ქართველი კაცის ბუნებას საუკუნეთა მანძილზე შეესისხლხორცა შრომა და სიმღერა. ქართული ჰანგები ხელიხელ-საგოგმანებელი ხდებოდა და საუკუნეთა სრბოლას უძლებდა. ზეპირსიტყვიერებაში მრავალი მარგალიტი ინახება, რომელთა გამომზეურება სახალხო მთქმლების მიერ ჩონგურით და სალამურის მეშვეობით ხდებოდა. ხალხური შემოქმედება ხომ ხალხის შვილის გულიდან უკოსმეტიკოდ თავისი პრიმიტიული სახით ლაღად მომდინარეობდა.

დღეს ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ჩონგურზე საკუთარი სიმღერების შემსრულებელი მწყემსი-მოლექსე მოსე ქურხულიშვილი. იგი დაიბადა 1907 წელს, ოქტომბერში წითელწყაროს (დედოფლისწყაროს) რაიონის სოფელ ოზაანში. არავითარი განათლება არ მიუღია. 7 წლის ყოფილა, როცა მეძროხედ დაუწყვია მუშაობა. 20 წლისას მოუყვანია ცოლი. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მწყემსად წასულა მეცხოველეობაში. ფეხზე ქალამნებს ატარებდა და ეცვა ჩოხა-ახალუხი. მოსე დიდ დროს ზამთრის საძოვრებზე ატარებდა. მწყემსებთან ყოფნის დროს მღეროდა სალამურზე, ჩონგურზე. წერა-კითხვის უცოდინრობის გამო მის მიერ ზეპირად გამოთქმულ ლექსებს იწერდნენ მეზობლები და ბავშვები. აი, რას იხსენებს მისი ახლობელი ნინა ქურხულიშვილი: „ურემზე ხან ძალით გავგზავნიდით (ის ამ დროს 7 წლის იყო) - რა ვქნა ვერ ვერევი ძნასო. ლექსების წერა 21 წლისამ დაიწყო. ყველას გარეთ გამოიყვანდა და ლექსებს ისე იგონებდა. „ნუ გეშინიათ შვილებო. ჩემი ლექსები ამოტივტივდება, როცა მე გარდავიცვლები“ – ეტყოდა ხოლმე ძმის შვილებს. (თვითონ შვილები არ ჰყავდა). სახლიდან სულ გარეთ იყო გასული. მეუბნებოდა, რომ დედის ადგილას იყავი, რატომ არ მასწავლეო წერა-კითხვაო. მაგრამ მე თვითონ არ ვიცოდი, იმას როგორ ვასწავლიდი. ღარიბი ოჯახის შვილი ვიყავი. ჩემი ტოლები სკოლაში, რომ გაივლიდნენ, ვტიროდი, მეც მინდოდა მათთან ერთად ვყოფილიყავი.

ერთხელ წითელწყაროში ვიყავი რძალთან ერთად წასული, მომესმა სიმღერის ხმა: ეს ხომ მოსეს ხმაა - წამოვიძახე, მივედით იქ, საიდანაც ხმა მოდიოდა და ვხედავთ, სადგურთან დამჯდარა და მღერის.

უნიგნურობამ ძალინ აწვალა და დატანჯა, - ერთი წერა-კითხვა ვიცოდე, რასაც გულიდან ამოვიძახებდი, ჩავწერდიო.

სწორედ, გულიდან ამოძახილ ლექსებს ამღერებდა ჩონგურზე თითქმის ორი ათეული წელი. იგი მონაწილე იყო რამდენიმე ხალხური შემოქმედებითი ოლიმპიადისა და საღამოები ჰქონდა გამართული საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.

მის დამსახურებაზე მეტყველებს თეტრალური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის ბარბარე ნიკოლაიშვილის წერილი, რომელიც მისწერა სახალხო მთქმელს. „პატივცემულო მოსე ვანოს ძე ქურხულიშვილო, თბილისის სახალხო შემოქმედების სახლიდან შევიტყვე, რომ თქვენ ხალხური მოლექსე ბრძანდებით, როგორც ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუში, მესაჭიროება ვიცნობდე თქვენს გამოთქმას, გთხოვთ მობრძანდეთ, რომ თქვენი გამოთქმა ჩავწერო რადიო-ფირზე მაგნიტოფონის მეშვეობით,“ მაგრამ უბრალო მეცხვარეს სხვა მისწრაფება ამოძრავებდა: როდესაც ამწვანებულ ფერდობზე თეთრი ქარავანი გაიშლებოდა, მოსე ქურხულიშვილი კომბალს მხარზე გაიდებდა და ტკბილად აკვნესებდა სალამურს. საღამოს კი, დაღალული, ნაყრებული ცხვარი ბინაში რომ ისვენებდა, შუაცეცხლს შემოხვეული მწყემსები კვლავ გულისყურით ისმენდნენ ჩონგურზე მის მიერ დამღერებულ სიმღერებს და შაირებს.

მოსე ქურხულიშვილის ლექსები პრიმიტიულია, მისი პოეზია მშრომელი გლეხის თუ მწყემსის ბედშავ ყოფაზეა აგებული, სიმღერა გამომხატველია ხალხის სულიერი კულტურის და ამავე დროს ადამიანის შრომის პროცესისა და დასვენების საუკეთესო თანამგზავრია.

მოსე ქურხულიშვილი ლექსში- „მწყემსი ვარ ველად დავდივარ“ ზუსტად გამოხატავდა თავის სულიერ სამყაროს და იმ გრძნობებს, რომელიც ახლავს ხალხური პოეზიის გულწრფელობას.

„არც ფანდური მაქვს, არც სტვირი,
რა უნდა დავაწკრიალო,
მწყემსი ვარ ველად დავდივარ,
მთა-ბარში დავხეტიალობ.
ხან მთაში დავალ, ხან ბარში,
ნიავივითა ვტრიალობ,
საწყალ ცხვარს დავდევ მრუდ გორში,
დავალ ხევებში ვხმიანობ..
აქეთ-იქიდან კლდეები,
თან წუარო ჩამოჩხრიალობს,
ხან ნიავ მოსცემს საამო,
გული ნავარდობს ხმიანობს,
აუვავდი უველა ბალახო,
ქვარცხო, სამეურა, კვლიავო,
შენ გამისუქე ცხვარ-თოხლი,
მეც წელგაშლილმა ვიარო.“

დიდი ილია ამბობდა: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა ღვთივრჩეულთა, მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, რადგანაც იგი, მოვლენილია რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენით კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს. მოსე ქურხულიშვილი, სწორედ საკუთარი იარებიდან გადმოღვრილი ხალხური პოეზიით წარმოგვიდგა ეროვნული კულტურის უმდიდრეს საგანძურად, რომელმაც სანახი ჰპოვა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მოსე ქურხულიშვილი გარდაიცვალა 1962 წელს.

მოსე ქურხულიშვილის ლექსები მხატვრულად წაიკითხეს მუზეუმის თანამშრომლებმა: ნინო პოპიაშვილმა, თამილა ჯავაშვილმა, დალი ბაღაშვილმა და თამარ ხარაშვილმა.

ისედაც საინტერესო ღონისძიებას აცოცხლებდა და ხალისს მატებდა მოსწავლეების იოანე შიუკაშვილის, გიორგი ალუღიშვილის, მალხაზ უძილაურის და სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდის (ნანა უძილაური, გურანდა ბოსტოღანაშვილი, ნატო ხუციშვილი, ხელმძღვანელი გაიოზ ხუციშვილი) მიერ შესანიშნავად შესრულებული ხალხური სიმღერები. მხატვრული ნაწილის მონაწილე ბავშვები ღონისძიების ბოლოს წმინდანთა ხატებით დაჯილდოვდნენ.

შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუზეუმელებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა, შემდგომი ნარმატებები უსურვა და საჩუქრად მაღალი კლასის კომპიუტერი და ფოტოაპარატი გადასცა.

–„მიუხედავად იმისა, რომ საათანადო პირობები არ გქონდათ, თქვენ მუდამ პირნათლად ასრულებდით თქვენს მოვალეობას, რისთვისაც მადლობას გიხდით მთელს კოლექტივს. არაერთხელ დავსწრებივარ თქვენს მიერ გამართულ მეტად საინტერესო ღონისძიებას. დღესაც გაოცებული დავრჩი, ასეთი სახალხო მთქმელი თუ გვყავდა, ვაღიარებ, ნამდვილად არც კი ვიცოდი. სასურველი იქნებოდა, აქ მოგეწვიათ მოსწავლეები, რომლებმაც, დარწმუნებული ვარ, არაფერი იციან მოსე ქურხულიშვილის შემოქმედების შესახებ. საერთოდაც, სკოლებთან და მოსწავლეახალგაზრდობასთან მეტი ცოცხალი კონტაქტი სასურველი იქნება, რადგან თქვენთან ინახება უნიკალური მასალები, რაზეც ბავშვებს ხელი სხვაგან არ მიუწვდებათ. გასული წლის 18 მაისს, როდესაც მუზეუმის დაარსების 40 წლისთავი ერთად აღვნიშნეთ, შეგპირდით, რომ თქვენზე ვიზრუნებდით. დღეს დანაპირებს ვასრულებთ, გადმოგცემთ კომპიუტერს და ფოტოაპარატს, რაც შეეხება დანარჩენს - წყლის გაყვანილობას, გაზიფიცირებას და სხვა, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს მოვაგვარებთ“- თქვა ნიკა ჯანიაშვილმა თავის გამოსვლაში.

(გაგრძელება გვ.3)

კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების მიზნით საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს მიერ ჩვენს რაიონში მოვლინებულია ბრიგადა გლეხი მოლექსის მოსე ქურხულიშვილის ხელმძღვანელობით.

მოსე ქურხულიშვილი გამართავს კონცერტებს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. მის რეპერტუარში შედის თანამედროვე საკუთარი ლექსები, რომელსაც იგი ფანდურზე მღერის. ბრიგადა რაიონში 15 აგვისტომდე დარჩება. პირველი კონცერტი უკვე ჩაატარა სოფელ თერჯოლაში. კონცერტი მაყურებელმა გულთბილად მიიღო

თერჯილის რაიონული გაზეთი„ საკოლმეურნეო სოფელი“ №56, 1953 წელი.

კომპარტიის სიღნაღის რაიკომის კომიტეტის
ცნობა

სიღნაღის რაიონის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობების თავჯდომარეებს და სკოლის დირექტორებს.

ნება ეძლევა კოლმეურნე გლეხ პოეტს მოსე ივანეს ძე ქურხულიშვილს მოაწყოს თავისი საკუთარი ნათქვამი ლექსების წაკითხვა და ჩონგურზე დამღერება. გევალებათ ადგილზე დახმარება აღმოუჩინოთ ბინით და შესაძლებლობის ფარგლებში ტრანსპორტით, აგრეთვე, ქურხულიშვილს ჩატარებული საღამოების შემდეგ მიეცით ფულადი გასამჯელო კოლმეურნეობათა კულტურული მომსახურების ფონდიდან (250 მანეთიდან- 400 მანეთამდე ფარგლებში) უზრუნველყავით დახმარება მაყურებელთა დასწარებაზე და ბილეთების გაყიდვაზე.

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი
გელაშვილი.

ახალგაზრდული კომპიუტერული ცენტრი გამარჯვებაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფლის ხელმძღვანელთან, გიორგი ჭინჭარაულთან და სჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ გამარჯვების ახალგაზრდული კომპიუტერული ცენტრის გახსნას დაესწრნენ. გახსნის ცერემონიაზე დასასწრებად გამარჯვებას NALAG-ს (ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოცია) აღმასრულებელი საქოსა და პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრებიც ეწვივნენ.

ახალგაზრდული კომპიუტერული სასწავლო ცენტრი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამიინისტროს, ასევე, საქართველოსა და ნორვეგიის დგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციების ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეიქმნა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე სოფლის ბიბლიოთეკასა და კულტურის ცენტრის წარმომადგენელსაც შეხვდნენ და არსებულ პრობლემებს გაეცნენ.

პოლიტიკური გაყრა

ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ინტერესთან ერთად ხმაურიც გამოიწვია. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პარტიის ყრილობაზე გადაწყვიტა, რომ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. პოლიტოლოგების შეფასებით, ამ გადაწყვეტილებას ხელი კოალიციაში მიმდინარე პროცესებმა შეუწყო, რომელიც გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე გაყრის გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ...როგორც ამბობენ, გაყრის მთავარ მიზეზად და განხეთქილების ვაშლად ქვეყნის საგარეო კურსი იქცა, კერძოდ მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება პროდასავლური ორიენტაციის მქონეთა და რუსეთთან დაახლოვების მომხრეთა შორის. დაშლის ერთ-ერთ ბოლო აკორდად კი მეჭიაურსა და ხიდაშელს



შორის არსებული უთანხმოება დასახელდა, რომელმაც მოგვიანებით გაცილებით მასშტაბური ხასიათი მიიღო და პარტიული სივრცე მოიცვა. არც ერთი არგუმენტი ბოლომდე დამაჯერებელი რომ არ გახლავთ, ამაში იოლად დარწმუნება მარტივი ლოგიკითაცაა შესაძლებელი. კერძოდ, ქვეყნის საგარეო ვექტორი მკვეთრად გამიჯნულია და დასავლეთისკენაა მიმართული-ჯიუტად ამტკიცებენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები და ამის მაგალითად ვიზალიბერალიზაციის გადაწყვეტილებას ასახელებენ. თავიანთი “სიმართლე” აქვთ სხვა სუბიექტებს...

ასეა თუ ისე, ამ პროცესებმა საზოგადოებაში წარმოშვა ტერმინი „პოლიტიკური გაყრა“. პოლიტიკურ დაფაზე მიმდინარე ბრძოლამ მე პირადად გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“ გამახსენა და სწორედ ის ასოციაცია გამიჩინა, რაზეც მწერალი მაშინ აკეთებდა აქცენტებს. ძმათა გაყრის მთავარ მიზეზად აქაც თაობათა შორის დაპირისპირება და მათი მსოფლმხედველობა იქცა. „თერგდალეულ“ და „რუსეთუმე“ ივანეს, ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა და განათლებულ წევრს, რომელიც რუსეთსა და პოლონეთშია ნამყოფი, ძმებისგან აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ცხოვრებისადმი. მისი იდეები შორს გამიზნულია და გაცილებით ჰუმანური, მაგრამ არც თავისი გონებრივი კულტურით და არც მორალით არსებითად მაღლა სულაც არ დგას თავის უფროს ძმებზე, რომლებსაც ველურებად და ჩამორჩენილებად თვლის. მის ერთი შეხედვით აბსურდულ იდეებს არ იზიარებენ ძმები და მას ჭკუანაკლულად თვლიან. მათთვის მისი ოცნებები მიუღებელია და ილუზიად ეჩვენებათ, როგორ უნდა გაჩეხოს ადამიანმა მამაპაპისეული ბაღი და მის მაგივრად ვარშავული პარკი გააშენოს გაზონებითა და შეკრეჭილი ხეებით. ისევე, როგორც ტრაგიკულად აღიქვამენ დიდი პატრიარქალური ოჯახის გაყოფა-განაწილებას. შუათანა ძმა კი ცხოვრების მიზანს ნადირობაში ხედავს და რომ არა ცოლის მუქარა, გაყრის პროცესში საერთოდ არც ჩაერთვებოდა. მოკლედ, თუ პარალელს გავავლებთ, დავინახავთ, რომ სამივე ტიპის პოლიტიკური ფიგურებით დახუნძლულია ჩვენი პოლიტიკური სპექტრი.არიან პარტიები თუ პოლიტიკური სუბიექტები, რომელთაც აქვთ იდეებიც, შესაბამისი განათლებაც, მაგრამ ბოლომდე არ შესწევთ ძალა, ქვეყნის მშენებლობაში ის წვლილი შეიტანონ, რომელსაც ქვეყნისთვის სასიკეთო



ცვლილებების მოტანა შეუძლია. მათ აკლიათ ნებისყოფა, ცხოვრების პრაქტიკული ცოდნა...

არიან პოლიტიკოსები, რომლებიც საშუალო ძმის დარად, მხოლოდ ფინანსურ გამოსავალს ეძებენ, ანდა პოლიტიკა ერთგვარი გართობის საგნად ქცეულა მათთვის, და პოლიტიკურ პროცესებშიც იმიტომ ერთვებიან, რომ თავიანთი პოლიტიკური ნიშა არ დაკარგონ, თორემ არჩევნებში მაღალ პროცენტებზე „სანადიროდ“ აღარც გადიან...

არიან პოლიტიკური სუბიექტები, რომლებსაც აშინებთ სიახლე და ქვეყანაში ყველაფერი ცუდის საწყისად ამერიკული თუ დასავლური ღირებულებების გაზიარებას მიიჩნევენ...

ქართულ რეალობას კი სჭირდება ღირსეული ცვლა, განათლებული ახალი თაობა, რომელსაც ქვეყნის სიყვარულთან ერთად რადიკალური ნაბიჯების გადადგმაც არ მოერიდება, რეფორმატორები, რომლებიც სამშობლოს კეთილდღეობისთვის პირადულსაც დაივიწყებენ და პოლიტიკურ ამბიციებსაც...

დიდი ხანია, საქართველოში პოლიტიკური პარტიების გაერთიანება მხოლოდ გარკვეული მიზნის გარშემო ხდება და არა იდეის გარშემო, სწორედ ამიტომაა ასეთი კოალიცია მყიფე, ადვილად მსხვრევადი... ასე მოხდა 2012 წელსაც, როდესაც მრავალი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა ბიძინა ივანიშვილის გარშემო- მიზანი ერთადერთი იყო- მაშინდელი ხელისუფლებისგან გათავისუფლება. კოალიციამ რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც შეინარჩუნა ერთიანობა და რამდენიმე არჩევნებიც ერთად ჩაატარა. მსგავსი პრეცედენტი ქართულ პოლიტიკას არ ახსოვს. დღეს კი, დღეს, ყველას სურს, დაამტკიცოს, რამდენად ძლიერია მათი პოლიტიკური პარტია, ვინ გადალახავს ბარიერს და რამდენი მანდატის მოპოვებას შეძლებს. როგორც ვხედავთ, მიზანი ნათელია, ბრძოლის გზა კი სხვადასხვაგვარი. მოახერხებენ თუ არა „ქართული ოცნების“ ჩრდილიდან გამოსვლას ის პარტიები, რომლებმაც საპარლამენტო მანდატები კოალიციაში ყოფნის წყალობით მოიპოვეს, ამას რამდენიმე თვეში ვნახავთ. მანამდე კი პოლიტიკური ბრძოლის გადატანა მოუწევს 300-მდე პარტიას... თუმცა, არც ის იქნება გასაკვირი, თუ სხვა პოლიტიკური გაერთიანების მომსწრენიც გავხდებით, ამისი ნიშნები უკვე იკვეთება- გაერთიანება ამჯერად საარჩევნო კოდექსის ირგვლივ ხდება. -ვინ ერთგულია კოდექსის გერმანული მოდელის?-ეს კითხვა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, რომლითაც არა მარტო პარტიათა პოლიტიკური მსოფლმხედველობის განსაზღვრა ხდება, არამედ ახალი კოალიციის წევრთა შესაძლო ვინაობაც...

არ ვიქნებით მართლები, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის მანძილზე არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებებსაც არ გავიხსენებთ. ჩვენს უახლოეს წარსულში ყველას ახსოვს კოალიცია „გაერთიანებული ოპოზიცია“. მაშინ მასში გაერთიანებულ პარტიებსაც ერთი მიზანი ამოძრავებდათ-მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან გადაყენება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს... ეს გაერთიანებაც დაიშალა, თუმცა რამდენიმე თვის წინ „მონოლითურ პარტიად“ მონათლულმა ნაცმოძრაობამაც განიცადა რღვევა და მისი რიგებიც დატოვეს პოლიტიკოსებმა, რომლებმაც სხვა პარტიები ჩამოაყალიბეს... როგორც ამბობენ, „ქორწინებაც და განქორწინებაც“ პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია... და ასეთი სიურპრიზების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომელიც მომავალშიც უამრავ სიახლეს შემოგვთავაზებს.

ინგა შიოლაშვილი

ზეპირსიტყვიერად ნათქვამი სიბრძნე ცხოვრებისა

(მეორე გვერდიდან)

მუზეუმელებს პროფესიული დღე მიულოცა გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა: - უაღრესად კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით. გილოცავთ და კვლავაც წარმატებებს გისურვებთ. იმედია, ახალი შენაძენი კომპიუტერის და ფოტოაპარატის სახით, უფრო გაგიადვილებთ მუშაობას. წელს დაარსებიდან 41 წელი შეგისრულდათ. იღბლიანია ეს ციფრი, სწორედ 41-ე ნომერმა ქართულმა ოცნებამ ბევრი ოცნება აგისრულათ და იმედი გქონდეთ, კვლავაც ბევრ სიკეთეს მოგიტანთ.

ღონისძიება შეაფასა კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტრომა ნონა ჯიბღაშვილმა: - დაფარული შრომაა მუზეუმის სქმიანობა, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო და საჭირო. 41 წელია, თქვენ ცდილობთ, არ დაიკარგოს ჩვენი რაიონის წარსული, რათა შთამომავლობას შემოვუნახოთ ის საგანძური, რომელზეც მათ მომავალი უნდა დააშენონ. კულტურის სამსახური, საკრებულოსა და გამგეობის ხელშეწყობით, კვლავაც ეცდება, გაგიუმჯობესოთ სამუშაო პირობები,რათა უფრო ნაყოფიერი გახდეს თქვენი საქმიანობა. გილოცავთ დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობას, უფლის შეწევნას და წარმატებებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლები.

მუზრუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მათი შრომის დაფასებისთვის და დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისა და მობრძანებისათვის.

როგორც ყოველთვის, საღამო ალა-ფურშეტით დასრულდა და აქაც ბევრი რამ ითქვა მუზეუმებსა თუ სახვა საკითხებზე.

ნაირა გორაშვილი

P.S. მინდა, ორიოდ სიტყვა ჩემს პირად დამოკიდებულებაზეც მოგახსენოთ მოსე ქურხულიშვილთან დაკავშირებით: ის ჩემი ბებიის მანანა ფაციაშვილის დის, ზემოთ მოხსენიებული ნინა ფაციაშვილ-ქურხულიშვილის მაზლი გახლდათ და, ამდენად, ჩვენს ოჯახებს ახლობლური ურთიერთობა ჰქონდათ, ჭირში და ლხინში ერთად იყვნენ და ამაყობდნენ კიდეც მასთან ურთიერთობით. მე, პირადად, ბევჯერ მინახავს მისი კონცერტი, რომელიც იმართებოდა სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის საკმაოდ დიდ და მოწყობილ საკონცერტო დარბაზში. აქვე მინდა გვიხსენო, რომ აწ გარდაცვლილი ზიზო ბიკაშვილი-ფიროსმანაშვილი, სამუსიკო სკოლის ყოფილი პედაგოგი, როგორც გამარჯვების სკოლის წარჩინებული მოსწავლე, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენაზე, საქართველოს დელეგაციასთან ერთად იყო მიწვეული და მან კრემლის სვეტებიან დიდ დარბაზში ფანდურზე შეასრულა მოსე ქურხულიშვილის სიმღერა „მწყემსი ვარ ველად დავდივარ“.

წყალი და ჯანსაღი ცხოვრების წესი – ჯანმრთელობის საწინდარია...

ამ დღეებში N1 საჯარო სკოლის მეორე ბ კლასში კლასის დამრიგებლის მარინა ინასარიძის და სკოლის ექიმის - შორენა ღვინიაშვილის მიერ ბუნების ინტეგრირებული ღია გაკვეთილი ჩატარდა. გაკვეთილის თემად შერჩეული იყო „წყალი“. საინტერესო, ხალისიან, მრავლისმომცველ გაკვეთილზე საჭირო იყო ნათელი გონება, სხარტი აზროვნება, ყურადღების კონცენტრაცია. ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში ადამიანებს რომ უპირველესად წყალი ესაჭიროებათ, ამაზე გაკვეთილის დასაწყისშივე შეახსენებს მათ პედაგოგი და მერხებზე გამწკრივებული წყლის ჭურჭლიდან წყლის მირთმევაზე მიუთითებს, მოსწავლეებიც სიამოვნებით ეთანხმებიან მარინა მასწავლებელს და 45 წუთის მანძილზე საბუნებისმეტყველო მეცნიერების მარტივ და მათი ასაკისთვის შესატყვის უნარ-ჩვევებს იძენენ...

- რა არის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, რა განსხვავებაა მათ შორის, რაში გამოიხატება ბუნების სიყვარული, ადამიანის სხეულის ნაწილები და მისი ჰიგიენა, გრძნობის ორგანოები?- ეს იმ კითხვათა მცირე ჩამონათვალია, რასაც გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა სრული და ამომწურავი პასუხები შეაგებეს მასწავლებელს. მათვე შეასრულეს პედაგოგის სიუჟეტური დავალება „მავნე ჩვევები ცხოვრების ჯანსაღი წესის წინააღმდეგ“ და მოსწავლეთა იმ ნაწილმა, რომელთა მამები ჯერ კიდევ მწეველთა რიცხვს განეკუთვნებიან, მინი-ინსცენირებით შეახსენეს მშობლებს თამბაქოს მომაკვდინებელ როლზე და მოუწოდეს, სასწრაფოდ უარი თქვან ამ მავნე ჩვევაზე.

შორენა ექიმი რამოდენიმეჯერ იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში და ყურადღებას ამახვილებდა ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის საჭირო- წყლის, ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. მან დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებს A, B, C, D და E ვიტამინების სარგებლობის თაობაზე, ასევე მინერალების-კალციუმისა და ფთორის, როგორც კვების მაბალანსირებლების აუცილებლობაზე, არ გამორჩენია საუბარი ფიზიკურ ვარჯიშზე, როგორც ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთ წამყვან პირობაზე და მთავარ ხელშემწყობზე ტვინის ფუნქციონირებისთვის. ექიმის დარიგების პარალელურად, მარინა მასწავლებელი თითოეულ დავალებას იმ ხარისხში აძლევდა ბავშვებს, რომ ის არასოდეს წაშლილიყო მათი მეხსიერებიდან.

- შეხედეთ დაფას, რა ფერისაა?

- დაარტყით ფანქარი მერხს, რა გაიგონეთ?

- გავუშვებ ჰაერის არომატიზატორს, რა იგრძენით?

- ხელზე თითები მოიჭირეთ, გტკივათ?

ეს კითხვარი ადამიანის გრძნობის ორგანოების- ყურის, თვალის, ცხვირის, ენის და კანის შეგრძნებების უკეთ დამახსოვრებისთვის იყო განკუთვნილი. მხიარულ და შემეცნებით გაკვეთილს, კიდევ ერთი სახალისო აკორდი დაემატა თოჯინა „რომბიკოს“ სახით, მან პატარებს სიურპრიზი მოუწყო და საკლასო ოთახში მათივე დაპატარავებული ტანსაცმელი შემოუტანა, ამით კი შეახსენა, რომ ისინი ყოველდღიურად იზრდებიან, რომ ძირითადი ცვლილებები სხეულის ზრდის პროცესში სიმაღლეში და წონაში მატებაა,ასევე კბილების ცვლა, ამ ყველაფერს კი ისევ და ისევ ჯანსაღი ცხოვრების წესით ვაღწევთ მხოლოდ,რომ ჯანსაღ ცხოვრებაში მოიაზრება ჯანსაღი უნარ-ჩვევების დაუფლება, გარე-სამყაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მავნე ჩვევებზე უარის თქმა, სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, გაკაჟება. ეს იყო ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა შესახებ ისაუბრეს და იმუშავეს მარინა მასწავლებელმა და შორენა ექიმმა მოსწავლეებთან ერთად.

ბუნების ღია გაკვეთილის დასასრულს, სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა მადლობა გადაუხადა მარინა მასწავლებელს და შორენა ექიმს ასეთი საინტერესო, მრავლისმომცემი, ხალისიანი გაკვეთილისთვის და მოსწავლეებს, ერთსულოვნად და შემოქმედებითად მუშაობისათვის.

ელზა ხარაშვილი

„აბა, გამოიცანი!“...

17 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი“აბა გამოიცანი“. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის N1 , N2, ხორნაბუჯისა და სამრეკლოს საჯარო სკოლების მოსწავლეები. კონკურსი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის მოეწყო.თითოეულ გუნდში მონაწილეობდა 5 მოსწავლე. მოსწავლეთა კანდიდატურები მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სკოლების დირექტორებმა მიაწოდეს მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების შერჩევითობის პრინციპით. ღონისძიების წამყვანი და ორგანიზატორი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური წრის პედაგოგი თამარ აბულაძე, რომელიც სულ რამოდენიმე თვეა მუშაობს ამ დაწესებულებაში და განსაკუთრებული აქტივობა და ტაქტიკა შემოიტანა მასში . კომპეტენტური და ობიექტური ჟიურის დახმარებით, კონკურსი ჩატარდა სამ ტურად . მესამე ტურის დასასრულს საბოლოოდ გამოვლინდა გამარჯვებული -N1 საჯარო სკოლის გუნდი „მერცხლები“, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა და რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მეოთხა ა და ბ კლასის მოსწავლეები: გიორგი ალუღიშვილი, გიორგი გვეღუკაშვილი, თაზო მანგოშვილი, ნატალი ტიკიშვილი და ლუკა წიკლაური, მეორე ადგილი დაიმსახურა სამრეკლოს საჯარო სკოლის გუნდმა „მზის სხივები“, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საბა ზურიკაშვილი (მეორეკლასელი), ანი ბოსტოღანაშვილი (მესამეკლასელი), ნატალი ბაცაცაშვილი (მესამეკლასელი), თეკლა წიკლაური (პირველკლასელი), ტელმან იაკობიშვილი (მეოთხეკლასელი). ისინი ასაკობრივად შერეული ჯგუფის მიუხედავად, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ მთელი კონკურსის განმავლობაში და მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩნენ პირველი სკოლის გუნდს. მესამე ადგილი ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდ“იმედს“ ხვდა წილად. „იმედის“ წევრები იყვნენ მეოთხე კლასის მოსწავლეები: გიორგი გონაშვილი, ნიკა გიგოლაშვილი, ანა იგნატიევა, ლიკა ლეკაშვილი, ბექა ნაროზაული. მეორე საჯარო სკოლის გუნდის“მართვეს“ მონაწილეებმა- ლანა მენთეშაშვილმა, გიორგი სეხნიაშვილმა, ნათია ჯანაშვილმა, გიორგი ბოდაველმა და სალომე ბენაშვილმა ქულათა საკმარისი რაოდენობა ამ კონკურსზე ვერ მოაგროვეს, მაგრამ კარგ გამოცდილებასთან ერთად კარგი საჩუქრებიც მიიღეს და მომავალი გამარჯვების იმედით გასწიეს სახლებში.

დასასრულს ღონისძიების ორგანიზატორმა ქ-ნმა თამარ აბულაძემ კონკურსში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს საჩუქრად გადასცა პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური საშუალებები, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის მათ გამოუგზავნა N1 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, თბილისის სტომატოლოგიური კლინიკა „ალბიუსის“ ხელმძღვანელმა, ექიმმა-სტომატოლოგმა ზურა ალხანიშვილმა.

მიღებული საჩუქრებით ბავშვებმა და მშობლებმა ძალიან გაიხარეს და მადლობა გადაუხადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, მათ პედაგოგებს და ზურა ექიმს ამ სიურპრიზისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები, სხვადასხვა სკოლების პედაგოგები, მშობლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

ქართველებს ღმერთმა ყველაფერი მოგცა, მაგრამ ვერ ვიყენებთ ამ მადლიან გარემოს!



საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას -ნათესი ფართობი 43%-ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იკლო. არადა მოგვეხსენება, სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წმინდა სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, თუმცა, მისი როლი თანდათანობით იკლებს. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. გათვლები ადასტურებს, რომ შესაძლებელია დღევანდელი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერ გაზრდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება გადაიქცეს იმ ძრავად, რომელიც ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას (წარმოების ზრდის ხარჯზე). სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოჰყვება. ამდენად, ყველა შეჯერებულია იმ აზრზე, რომ ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის. ჩვენი რაიონი საუკეთესო პირობებს იძლევა სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, თუმცა ბევრი ჩვენი მცხოვრები ამ საქმეს პესიმისტურად უყურებს და არ სურს მოჰკიდოს ხელი სამეურნეო საქმიანობას, რადგან თლიან, რომ ეს არამომგებიანია. თუმცა ჩვენს რაიონში არიან ადამიანები, ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. სოფლის მეურნეობის საკითხით არათუ დაინტერესებულია, არამედ ცდილობს ქვეყნის მასშტაბებს გასცდეს საკუთარი წარმოებით არხილოსკალოში მცხოვრები ნიკოლოზ ბენიაიძე, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა. ბენიაიძის მიერ სოფლის მეურნეობაში გაკეთებული სვლები საუკეთესო მაგალითი შეიძლება იყოს სხვებისთვისაც. ბატონი ნიკოლოზი ჩვენი საკრებულოს დეპუტატი გახლდათ, საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილეც, თუმცა ის დღეს კერძო ბიზნესითაა დაინტერესებული და საკმაოდ კარგადაც უძღვება ამ საქმეს. იმისთვის, რომ ახალგაზრდებში პოპულარიზაცია გავუწიოთ სოფლის მეურნეობას და ეს სხვებისთვისაც მაგალითი გახდეს, ბატონმა ნიკომ სულგრძელობა გამოიჩინა და სხვა ფერმერების მსგავსად უარი არ გვითხრა ინტერვიუზე, რისთვისაც მადლობა მას.

მინი დოსიე: დაიბადა 1977 წლის 28 აგვისტოს,დაამთავრა არხილოსკალოს საშუალო სკოლა. 1994 წელს ჩააბარა აგრარულ უნივესიტეტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე,1998 დაამთავრა ბაკალავრიატი და 2000 წელს მაგისტრატურა, 2003წელს დაამთავრა ასპირანტურა,1993-1998 წლამდე იყო საქართველოს სამბოს ნაკრების წევრი, საქართველოს პირველობა მოიგო რამდენჯერმე. 1997 წელს იასპარეზა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში ყაზახეთში. 1996 წელს ფერმერობას მოჰკიდა ხელი, შემდეგ გახდა დედოფლისწყაროს საკრებულოს მაჟორიტარი წევრი საკრებულოში, ასევე გახლდათ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ამჟამად იგი გახლავთ ფერმერი და მეწარმე, ჰყავს მშობლები, ძმა, მეუღლე და 4 ვაჟი. ამბობს, რომ სწორედ მათი დიდი მხარში დგომით და მეგობრების დახმარებით აკეთებს ამ ყველაფერს.

- ნიკოლოზ, მას შემდეგ რაც აღარ ხართ საჯარო სამსახურში, როგორ აუწყეთ ფეხი ცხოვრებას?

-მე საჯარო სამსახურამდე მქონდა საქმეები და ახალი თითქმის არაფერი წამომიწყია, ჯერ კიდევ 1995 წელში დავიწყეთ კოლმეურნეობისგან მიტოვებული ვენახების აღდგენა, მარცვლეული კულტურების მოვლა - მოყვანა, 18 წლის ასაკიდან ამ საქმით ვარ დაინტერესებული, სპეციალობადაც ტექნოლოგიური ფაკულტეტი ავირჩიე,ასე რომ საჯაროს მერე არ გამჭირვებია, პირიქით მეტი დრო დავუთმე პირად საქმიანობას და უფრო სწრაფად განვავითარე.

- არსებობს თუ არა რეცეპტი იმისთვის, რომ შეძლო ბიზნესში ფეხის აწყობა და ამასთან გამართლებულად აკეთო შენი საქმე, ამას ხომ ყველა ვერ ახერხებს, რა თვისებებია საჭირო იმისთის, რომ ცდამ გაამართლოს და გახდეთ წარმატებული ბიზნესმენი ან ფერმერი?

- კონკრეტული რეცეპტი არ არსებობს, რადგან ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია, მაგრამ სწორი გათვლა და მერე ჯიუტად ამ გზაზე სიარული რისკთან ერთად, დამეთანხმეთ, აუცილებელი პირობაა.

- როგორც ვიცი, მევენახეობის კუთხითაც ეწევით საქმიანობას და ხართ წარმატებული. , იქნებ მოყვეთ, როგორ ახერხებთ ამდენს?

- თავიდან მევენახეობით და მარცვლეული კულტურებით დავიწყე, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე ამ პროდუქტების საბოლოო სრულყოფა: კერძოდ ღვინის წარმოება და მარცვლეულით საქონლის გამოკვება, ამჟამად გვყავს საზღვარგარეთიდან შემოყვანილი სუფთა სისხლის ჰოლტინური ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვი და მოწვეული რძიდან ვაწარმოებთ სხვადასხვა რძის პროდუქტს. პარალელურად ვმუშაობთ ბიო-მეურნეობით მიმართულებაზე, როგორიც ჯერ საქართველოში დღემდე არ დანერგილა,პარალელურად ვიბარებთ მოსახლეობისგან რძეს და რეალიზაციას ვუკეთებთ წამყვან სუპერმარკეტებში, აგრეთვე გვაქვს ზეთის მცირე საწარმოც.

- ნიკოლოზ, თქვენ არაერთ ქვეყანაში დადიხართ, სადაც იძენთ ახალ ცოდნა-ჩვევებს სოფლის მეურნეობის კუთხით, თუ შეგიძლიათ, ორიოდ სიტყვით გვითხრათ, რომელი ქვეყნები მოინახულეთ ამ კუთხით და რა სიახლეები შეიძინეთ სხვა ქვეყნებიდან?

- მე მოვიარე ესტონეთი, გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, თურქეთი, უკრაინა, ამჟამად ამერიკაში ვარ, თითქმის ყველაფერი სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან დავნერგე, ვისწავლე ახალი ტექნოლოგიები, რასაც ჩემს მეურნეობაში ვნერგავ და მომავალშიც გავაგრძელებ. 100 სული ჰოლტინური ჯიშის ძროხა ესტონეთიდან შემოვიყვანეთ, რძის გადამამუშავებელი გვაქვს სოფელში და თბილისში. ვაწარმოებთ რამდენიმე სახეობის პროდუქტს. ტექნოლოგიები მოგეხსენებათ, ჩვენ ქვეყანაში ძალიან მოძველებულია და ამიტომ გავიარე ევროპის წამყვან ქვეყნებში სწავლების კურსები და პრაქტიკა. ამჟამად ვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სიამოვნებით დავნერგავ აქ მიღებულ ცოდნა- სიახლეებს ჩემს მეურნეობაში.

- ახლანდელი თქვენი საქმიანობა რას მოიცავს და სამომავლო გეგმები თუ გაქვთ?

- საფერავის და რქაწითელის ვენახები გვაქვს და წელს გავაშენე ხიხვი, ქისი და კახური მწვანე, ეხლა ვგეგმავთ ქვევრების მარნის მშენებლობას და ტრადიციული ღვინოების წარმოებას, ეს ყველა პროდუქტი- რძეც და ღვინოც იქნება ბიო და პირველი ბიო რძის პროდუქტი საქართველოში.

- ამერიკაში რა პროგრამით ხართ წასული?

- ამერიკაში „კოხრანის“ პროგრამით ვარ. ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაგვაფინანსა და წაგვიყვანა. ჩემს პროდუქტს წარმოვადგენ შ პ ს “შირაქი”-ს სახელით.

- საინტერესოა, როგორია სხვა ქვეყნის მეწარმეების დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის კულტურის, ტრადიციის, ღვინის და საერთოდ ყველაფერი ქართულის მიმართ? გვაქვს თუ არა შანსი, გავხდეთ წარმოებაში ევროპის ბაზრის ღირსი ქვეყანა, ვგულისხმობ სრულყოფილ და ღირსეულ წევრობას. როგორია სხვა ერის მეწარმის თვალით დანახული ჩვენი წარმოება?

- რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ღმერთმა ყველაფერი მოგცა, მაგრამ ვერ ვიყენებთ ამ მადლიან გარემოს, ღვინის თვალსაზრისით ხომ საერთოდ დიდი შანსები გვაქვს მომავალში. ახლახანს დაპატენტდა ქვევრის ღვინო და მას დიდი მომავალი აქვს. მეღვინეობა ვაზის მოვლით იწყება და ყველა ეტაპზე დიდი კონტროლი გვმართებს, ეს კი, სოლიდურ დანახარჯებს და კვალიფიციურ კადრს მოითხოვს. ამაში სახელწიფომ თანხა უნდა გაიღოს და წარჩინებული სტუდენტები უნდა გაიგზავნონ საზღვარგარეთ, რომ აქ დავნერგოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, აი დანარჩენ დარგებში გაცილებით სავალალო მდგომარეობაში ვართ. ერთეულები შეძლებენ კონკურენციის გაწევას, მაგრამ ეგ საერთო სურათს ვერ შეცვლის.პოლიტიკაა შესაცვლელი და ამას კვალიფიციური კადრი ჭირდება. ამ დარგში სწრაფი შედეგი ძნელი დასადებია, მაგრამ, მე მაინც იმედს ვიტოვებ რომ მივაღწევთ შედეგს, ქართველები მიმბაძველები ვართ და თუ შედეგიანი იქნება ვინმე, მალევე ავიტაცებთ.

- მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ საინტერესო ინტერვიუსთვის და თანამშრომლობისთვის.

- მადლობა თქვენ, რომ გამიხსენეთ და დაინტერესდით ჩემთან ინტერვიუს ჩაწერისთვის და მადლობა თქვენს გაზეთს, რომ სოფლის მეურნეობას უწევს პროპაგანდას.

ლალი მეხრიშვილი

„სკოლის სევდა“ ანუ ამბავი გაბრუებული მერცხლებისა



მაისის ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, უღიმღამო დღეა. უნივერსიტეტში ვარ 9 საათიდან. ილუზიაც არ მაქვს, რომ დღეს რამე კარგი მოხდება- თქვენ ხომ არ იცით, რა მოსდევს ხოლმე სისხამ დილით ჩემი ადგომის, უფრო სწორად საწოლიდან გადმოვარდნისა და ფეხის მძიმედ დაშავების გულისამაჩუყებელ ცერემონიას. სულ მცირე- საშინელი მოთენთილობა, გულისგამაწვრილებელი მთქნარება (რომელსაც დასასრული არ უჩანს), ლექციებზე ჯდომა კუნძის მდგომარეობაში (არ ვაჭარბებ) და ძილის აუტანელი სურვილი (მერხზე გაშოტვა ცოტათი შველის). მოკლედ, ეს დღე ერთ-ერთი იმ უიღბლოთაგანია, „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი რომ დამრჩა“.

უკვე რამდენიმე საათია გადაბმულად ვუსმენ მონოლოგს ანტიკური ტრაგედიის არსის შესახებ (ესღა მაკლდა!). თვალებს ვხუჭავ- ლექტორის ხმა იავნანასავით ჩამესმის. ცოტაც და თავს „მორფეის ალერსს“ მივცემ, მაგრამ ზარი მაფხიზლებს. კიდევ 2 საათი- ვეუბნები ჩემს თავს- კიდევ 2 საათი და თავქუდმოგლეჯილი გაიქცევი სახლში, შენს მიუდგომელ ციხესიმაგრეში, ყველასა და ყველაფრისგან შორს.

ამასობაში ძველი ბერძნულის ჯერიც მოდის. ვზივარ და სიკვდილმისჯილივით ჩემი ჩამოხრჩობის წამს ველოდები- წუთი-წუთზე შემოვა და დაიწყება. კარის სახელური დაბლა იწევა- შიში და პანიკა პიკს აღწევს, ეშაფოტზე ასასვლელად ვემზადები, საცაა სასოწარკვეთილებისგან ვიყვირებ და... ჩემი კურსელების მხიარული შეძახლები: „გვიცდება! გვიცდება! გვიცდება!“ ისე მეძინება, თავი სიზმარში მგონია. ტკბილი სიზმარი კია. აი, ამ წამს ვხვდები, რომ ყველაფერი კარგი ჩვენს ცხოვრებაში მოულოდნელად ხდება.

წვიმა. სახლისაკენ ჰერი-ჰერი. გზად „ბიბლუსია“. გუშინ ნანახი წიგნი მახსენდება. არა, როგორმე უნდა ჩავუარო, აუღელვებლად, მშვიდად და გულგრილად, თითქოს არც კი ვიცნობ, თითქოს ის ჩემთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს. მე ამას შევძლებ.

-„სკოლის სევდა“. „სკოლის სევდა“. „სკოლის სევდა“,- მიყვირის შესასვლელი კარი.

-ფული არ მაქვს! ფული არ მაქვს! ფული არ მაქვს!- ვპასუხობ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის შედეგად მიღებული რკინასავით ცივი ხმით.

-კარგი რა! მე მაინც რას მატყუებ.

-არ შეიძლება! არ შეიძლება! მე არ .....

ღიმილმიწებებულმა გოგომ წიგნი პარკში ჩამიდო და გამომისტუმრა. ისევ წვიმს. „ბოლო-ბოლო, მე ხომ მომავალი მასწავლებელი ვარ (ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვვარაუდობ), ეს წიგნი კი მასწავლებელზეა. ჰო. ამ პროფესიის სირთულეებზე, ამოცანებზე. მჭირდება, აუცილებლად უნდა მეყიდა (ნაირნაირი თავისგამამართლებელი ჭიაყელებით ვცდილობ პირდაფჩენილი სინდისის ანკესზე წამოგებას).“

უზარმაზარი ჭიქა ყავით პირთამდეა გავსებული. მარტო ვარ. „მარტო ვართ, მხოლოდ მე და შენ, გესმის?“- ეშმაკური ღიმილით ვიღებ 277-გვერდიან ნუგბარს.

ავტორი: დანიელ პენაკი- ფრანგი მწერალი, ნოველისტი და, რაც მთავარია- წარმატებული მასწავლებელი.

„სკოლის სევდის“ მთავარი გმირი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ოროსანია. დიახ, ჩამოყალიბებული ოროსანი. კიდევ უფრო გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ რომანი ავტობიოგრაფიულია, შესაბამისად, ეს წყალწაღებული უქნარა ბიჭი მომავალი მასწავლებელი და ლეგენდარული მწერალი- დანიელ პენაკია. დაუჯერებლად ჟღერს, არა? რავიცი, ასე წერია ანოტაციაში, ზუსტად ასე, სიტყვა-სიტყვით.

ბოლო დროს ასე გემრიელად აღარაფერი „შემისანსლავს“. პირდაპირ დაუღეჭავად ვუშვებ ასობით მსუყე სტრიქონს ჩემი მშიერი გონების გაუმაძღარ სტომაქში.

საოცარი სიცხადით აღუწერია პენაკს იმ პატარა ადამიანების ბედი, რომლებსაც ოროსნის იარლიყი და გარანტირებული უმომავლობა აქვთ მიწებებული. ვის გამოაქვს „სიცოცხლის გამამწარებელი“ მოსწავლეებისთვის გამამტყუნებელი განაჩენი? მათ მშობლებს, მეზობლებს, მასწავლებლებსა და სტერეოტიპების მთელ კასკადს. სამყარო ასეთების წინააღმდეგაა. მათაც ისღა დარჩენიათ, მადლიერებით მიიღონ მინიჭებული სტატუსი, მთელი ცხოვრება სიფრთხილით ატარონ (არსად დაეკარგოთ) და საბოლოოდ უპერსპექტივო, წერა-კითხვის უცოდინარ, უუნარო, უგუნურ და განწირულ ბრბოდ ჩამოყალიბდნენ. დიახ, ესაა იდეალი, უზენაესი მიზანი, რომელსაც საზოგადოების ყველა ინსტიტუტი (განსაკუთრებით ოჯახი!) ხელს უწყობს და ეთაყვანება (სკოლასაც ნუ დავუკარგავთ უდიდეს დასახურებას ამ წმინდა საქმეში!).

ოროსანი- ეს ნიშნავს ყველასაგან გარიყულ, მომავლის არმქონე, ურთიერთობისთვის გამოუსადეგარ, მუდმივი წარუმატებლობისთვის განწირულ ადამიანს (თუ შეიძლება, იგი ამგვარად მოვიხსენიოთ). მისი ხვედრი მძიმეა: „წარუმატებლობა შეიძლება განკურნებადი იყოს, მაგრამ წარმოუდგენელია, მის მიერ დატოვებულმა ჭრილობებმა ოდესმე ბოლომდე შეკრას პირი.“

მისი ბედი იმთავითვე განსაზღვრულია: „შენგან მაინც არაფერი გამოვა!“ „ერთი ამას დამიხედეთ, კიდევ რომ რამის იმედი აქვს!“ „ისედაც ვიცი, შენ ჩაიდენდი!“ „კარგად გიცნობ, შენ გარდა ამას ვერავინ გააკეთებდა!“ და მსგავსნი და მსგავსნი. ვინ მოსთვლის. ოროსანს არავინ ენდობა, მაშინაც კი, თუკი ის ცამდე მართალია (ისტორია იცნობს ასეთ უიშვიათეს შემთხვევებსაც).

ნეტავ, იცოდეთ, რა „შავბნელ სიამოვნებას“ იღებს ოროსანი მშობლისა და მასწავლებლის მდგომარეობიდან გამოყვანის მომენტში. ნეტავ, გაგაგონათ მისი ეშმაკური ხითხითი უფროსების ატეხილი წივილ-კივილის დროს. მას მხოლოდ ერთი რამ სურს- შეეშვან! მარტო დატოვონ ცარიელ ოთახში, კომპიუტერის პირისპირ. ვიდეო-თამაშებში გამართული ბრძოლის ველი ხომ ერთადერთი ადგილია, სადაც ის იმარჯვებს, სადაც დაუმარცხებელია. მაშ, აცადეთ ბედნიერება. ოროსანს ურჩევნია, გაქრეს ამ სამყაროდან, ვიდრე უფროსების გულისშემაწუხებელმა დიდაქტიკურ ტონმა სმენის ორგანოები ოდნავ მაინც შეურხიოს.

ოროსნისა არავის სჯერა- ეს აქსიომაა. სკოლა მისთვის კარცერია. მასწავლებელიც ამჯობინებს, ტყუილებში აჰყვეს ასეთს, ვიდრე, ზედმეტი ძალისხმევა გამოიჩინოს მის განსწავლასა და სწორ გზაზე დაყენებაში. „განა ამისთვის ვისწავლე ამდენი, რომ ასეთებს შევალიო დარჩენილი სიცოცხლე?!“- პირდაპირ რკინის არგუმენტია, ვერაფერს იტყვი. მოკლედ, ჩვენი ძვირფასი ოროსანი მოსწავლედაც არ ითვლება, ფაქტობრივად, კლასის მოკრძალებული დეკორაციაა.

რა ძნელია, ასეთი ბავშვობა რომ გაქვს, არა? და რა რთულია მერე მისი გახსენება. მითუმეტეს მაშინ, როცა შენს საკუთარ, პირად წარუმატებლობასა და ტკივილებზე წერ. პენაკი ამას ახერხებს. იმასაც ცდილობს, საკუთარი ბავშვობის მძიმე გამოცდილება მომავალ პროფესიაში საწინააღმდეგო მიმართულებით გამოიყენოს- მოსწავლეების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს (პირველ რიგში, ოროსნებისა). რა არის ეს „უკეთესობა“? პასუხი მარტივია: რწმენა.



„ჩემი ინამეს! და მეც მაშინვე ვინამე საკუთარი თავის!“- დაჩაგრული სულის ეს გულწრფელი ამოძახილი მასწავლებლის ტრიუმფალური გამარჯვებაა.

დანიელი ის მასწავლებელია, რომელსაც სწამს საკუთარი მოსწავლეებისა. ის მასწავლებელია, რომელიც ანგრევს სტერეოტიპებს, მზამზარეულ მოცემულობებს: „ოჰ, ეს დაუძლეველი შიში ყოველივე იმისა, რაც ყალიბში არ ჯდება, რაც დადგენილს სცდება.“

ჭიქას დავწვდი, მაგრამ ყავა აღარ იყო. ე.ი უკვე ბოლოში გავსულვარ.

აი, 276-ე გვერდზე კი თითქოს მთელი ძალით სილა გამილაწუნეს, ნამძინარევს ცივი წყალი გადამასხეს, ერთი მაგრად შემანჯღრიეს, წიწაკით გალოკილი თითები თვალებში ამომისვეს და პირში მომახალეს: „თქვენ გევალებათ, იხსნათ ბავშვები, რომლებსაც თქვენთვის პირადად დახმარებისთვის არ მოუმართავთ! თქვენ მოგეთხოვებათ, ცოდნას ცოტა ინტუიციაც დაუმატოთ, რათა როგორმე გაიგოთ, თუ რას ნიშნავს უმეცრება, არცოდნა. წადით და შეეცადეთ, ანკესზე წამოაგოთ ოროსნები. აი, რა არის თქვენი საქმე! სულ ეს არის, რასაც თქვენგან ითხოვენ!“

ვზივარ და ვფიქრობ- ბავშვები მერცხლებს ჰგვანან. მერცხლებს, თბილი ქვეყნებისკენ რომ მიფრინავენ და გზად სკოლის მომცრო ფანჯრებში უნდა განვლონ. ფართოდ, ფართოდ გახსენით ყველა ფანჯარა! ყველა მათგანმა უნდა შეძლოს დანიშნულების ადგილამდე დაუბრკოლებლად მიფრენა. არ გაგიკვირდეთ, „მაინც გამოჩნდება ერთი-ორი გზააბნეული სულელი, ვიწრო ფანჯრებს რომ შეასკდება.“ აი, მაშინ კი თავს ნუ მიატრიალებთ, თითქოს ვერაფერი დაინახეთ- სასწრაფოდ ხელში აიყვანეთ დაშავებული „მერცხალი“ და ჭრილობა შეუხვიეთ. მოგინევთ, ფრენა სულ თავიდან ასწავლოთ, მაგრამ განა სხვა რამეა თქვენი მოვალეობა?

ჩემს „უიღბლო“ დღეს კარები ცხვირწინ მივუჯახუნე, თვალები დავხუჭე, მაგრად ჩავითბუნე და გონებაში ჩემი მომავალი სკოლის კარი შევაღე. იქ ოროსანთა მთელი დაჯგუფება დამხვდა. გამეღიმა. „სკოლის სევდა? უბრალოდ გაბრუებული მერცხალი ცხოვრებისკენ უნდა შემოაბრუნო და მორჩა.“

საინტერესო გაკვეთილი მუზეუმში

ამ დღეებში ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის VI^ბ კლასის მოსწავლეებს ისტორიის მასწავლებელმა ნანული ნატროშილმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საინტერესო გაკვეთილი ჩაგვიტარა.

მუზეუმის სპეციალისტი ლალი ბასილაშვილი გვესაუბრა ჩვენი კუთხის ისტორიული წარსულის შესახებ, თუ როგორი ცივილიზაცია არსებობდა ძველად, ვნახეთ საბრძოლო იარაღები, სასმელი წყლის თიხის მილები, შირაქში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქალაქის ტიპის დასახლებები, რომლებიც გვიანი ბრინჯაოს პერიოდს ეკუთვნოდა, ვნახეთ 2000 წლის წინანდელი რომაელი ჯარისკაცის მუზარადი და გავეცანით ქიზიყელი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატებს. ჩვენი გაკვეთილის მიზანი იყო მუზეუმში დაცული ძველი ხელნაწერების გაცნობა, ვნახეთ მე-18 საუკუნის სიძველეები, გადავიღეთ ფოტოები და დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით უკან. მუზეუმში ჩვენ გავიგეთ ბევრი რამ, რაც დღემდე არ ვიცოდით.

ის, რაც ჩვენ ვნახეთ, ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ კიდევ უამრავი ექსპონატია, რომლის გაცნობაც ჩვენს ცოდნას გაამდიდრებს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ მოსწავლეებმა მეტად უნდა ისარგებლონ მუზეუმის სიკეთით, ხშირად ეწვიონ მას გინდ ჯგუფურად, გინდ ინდივიდუალურად. კარგი იქნება, თუ ამას ორგანიზებას პედაგოგები გაუწევენ.

VI^ბ კლასის
მოსწავლე მარიამ
სამუკაშვილი

ოჯახში ძალადობის საკითხებზე თვითმმართველობის როლი იზრდება

ამ დღეებში ქალაქ გურჯაანში გაიმართა მედიატრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ მათი კოორდინატორი ეკა გულუას ხელმძღვანელობით. მოწვეული სტუმრები ძირითადად კახეთის მედიის წარმომადგენლები გახლდნენ, რომელთა შორის გაზეთი „შირაქიც“ გახლდათ. აქვე იყო სიღნაღში ახლადგახსნილი ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის დირექტორი ქალბატონი ია ფირანიშვილი და „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ გურჯაანის ოფისის კოორდინატორი ქალბატონი ჯილდა ხარიტონაშვილი. შეხვედრაზე საუბარი შედგა ოჯახში ძალადობის არსზე და ნებატიურ ასპექტებზე, ოჯახში ძალადობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებზე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებზე, სამართლებრივი რეაგირების მექანიზმებზე, ოჯახში ძალადობისგან არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმებზე და, რაც ყველაზე მთავარია, თვითმმართველობის როლზე და ჩართულობაზე ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტრენინგი დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ 2007-2014 წლის გამოვლენილი ოჯახური ძალადობების სტატისტიკის მომოხილვით. —„2014 წლის ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მამაკაცების და ქალების რაოდენობრივი შეფარდების სტატისტიკა ასეთია 126 მამაკაცი მოძალადე, ხოლო 7 ქალი, ამავე წლის მონაცემებით გამოვლენილია 134 ფაქტი, ხოლო მასში მონაწილე 273 პირი, 2007-2014 წლებში სულ დაფიქსირებულია 1012 ფიზიკური ძალადობა, აქედან 1014 მამაკაცია მოძალადე, ხოლო 82 -ქალი,აქედან 775 ფსიქოლოგიური ძალადობა, 40 იძულება, 85 ეკონომიური ძალადობა, 26 - სექსუალური ძალადობა. ოჯახური კონფლიქტის ხშირ მიზეზად ყველაზე მაღალი პროცენტით დასახელებულია სამი ძირითადი მიზეზი, ალკოჰოლური სასმელების ხშირი მიღება, ეჭვიანობა და ქონებრივი დავა. ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირთა რაოდენობა სქესის მიხედვით ასე გამოიყურება 371 % დაზარალებულია ქალი, ხოლო ,96% - დაზარალებულია მამაკაცი. ასაკობრივი წლების მიხედვით ძალადობაში მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება ასე გამოიყურება: ძალადობის შემთვევები ყველაზე მაღალი ალბათობით 25-დან 45 წლის ასაკის ქალებსა და მამაკაცებში იჩნს თავს“-გადმოგვცემს შს სამინისტროს მონაცემებს „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ კოორდინატორი ეკა გულუა.

ეს ყველაფერი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულ შემთვევებია, რაც შეეხება დაფარულ და გაუმჟრავნებელ ფორმებს, ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რიცხვი ცხადია, გაცილებით მაღალია. ქალბატონი ჯილდა ხარიტონაშვილი ჩვენთან საუბარში ყვება ყველაზე საზარელ ისტორიას, რაც მის პრაქტიკაში მომხდარა, თუმცა ამგვარი ისტორიები არაერთია. ერთ-ერთი ჟურნალისტი კი ყვებოდა, თუ რა წინააღმდეგობას წააწყდა, როდესაც ქონების დასაკუთრების გამო სახლში გამოკეტილი დედის ისტორიას აშუქებდა. „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ აცხადებს, რომ მათი კვლევების მიხედვით ყოველი მესამე ადამიანი ძალადობის მსხვერპლია. ცხადია, ყველამ ვიცით, რომ ძალადობა არის მრავალგვარი ფიქიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, იძულებითი, სექსუალური და სხვა.შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძალადობა არის დანაშაული ოჯახისა და სახელმწიფოს წინაშე და ის დასჯადია.

ბოლო პერიოდში „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ მოამზადა კანონი, ცვლილებები ეხება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა“ და საქართველოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. აღნიშნული კანონი პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო და ის უკვე ძალაშია.

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტის, გია გოგიბერიძის ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება თვითმმართველი ორგანოების როლის გაზრდის გზით. კერძოდ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ჩართულობა და აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლებამოსილება ენიჭებათ, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა ოჯახში ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, დახმარება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ასევე, უფლებამოსილება ენიჭებათ, ხელი შეუწყონ შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიებზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის შექმნას.

ამის საუკეთესო მაგალითი გახლდათ ქალბატონი ია ფირანიშვილი, რომელიც სიღნაღის თავშესაფრის ხელმძღვანელია, -„თავშესაფარი ჯანდაცვის სამინისტროს მიერაა დაფინანსებული და გვაქვს საუკეთესო პირობები, თავშესაფარი ათ ადგილიანია და ამჯერად მხოლოდ ორი ბენეფიციარი გვყავს- 93 წლის მამაკაცი და ახალგაზრდა გოგო სამი წლის შვილით, რომელთაგან არცერთი არაა კახეთიდან, ორივე ბენეფიციარი ძალიან მაღალკულტურული და საკმაოდ სასიამოვნო ადამიანები არიან. ისინი ჩვენთან სამთვიანი ვადით აფარებენ

თავს, სამი თვის შემდეგ, მათ უნდა თავისით გაიკვლიონ გზა. ჩვენთან არის ყველანაირი პირობა, ბენეფიციარებმა სხვადასხვა კურსები გაიარონ, რის შედეგადაც მათ საზოგადოებაში რეალიზება და ადაპტირება არ გაუჭირდებათ, ვასწავლით სხვადასხვა სურვილის მიხედვით, ვინც რის შესაძლებლობას გამოააშკარავებს, ეს იქნება ქარგვა, თექა, კერვა, სხვადასხვა ხელნაკეთების კეთება, თუ საბუღალტრო კურსები. თავშესაფარში გვყავს ფსიქოლოგი, იურისტი და ექიმი.“-ამბობს ია ფირანიშვილი.

საკმაოდ დატვირთული მუშაობა ჰქონია გურჯაანის „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ფილიალს, რომელსაც ქალბატონი ჯილდა ხარიტონაშვილი ხელმძღვანელობს, მისი თქმით მხოლოდ გასულ კვირას 9 ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა მის ფილიალში და ყველა მძიმე შემთხვევაა.

-„ოჯახში ძალადობა ძირითადად ფსიქოლოგიური ძალადობითა და იძულებით იწყება. 2012 წელს სს კოდექსშიც გაჩნდა მუხლი, რომლითაც ამ დანაშაულის კრიმინალიზაცია მოხდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოძალადეებს მაშინვე იჭერენ და ციხეში გზავნიან. ფაქტების აღმოსაფხვრელად „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ საკმაოდ აქტიურად იმუშავა და პარლამენტს საკანონმდებლო პაკეტიც შესთავაზა. საუბარია პედაგოგების, ექიმების და იმ წრის პასუხისმგებლობაზე, რომლებსაც უშუალოდ მსხვერპლებთან აქვთ ურთიერთობა, ინფორმაციას ფლობენ, თუმცა, მალავენ. სკოლებში ყველაზე მეტი ინფორმაცია სწორედ რომ მასწავლებლებს გააჩნიათ, ისევე, როგორც ექიმებს, რომლებთანაც ძალადობის მსხვერპლები ხვდებიან. თუ ისინი ფლობენ ინფორმაციას, რომ ოჯახში ძალადობა ხდება, მათ ევალებათ, ინფორმაცია შესაბამის უწყებებს მიაწოდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ სანქციები უნდა მოქმედებდეს. ეს ჯგუფური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა იყოს.“-ამბობს „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ხელმძღვანელი ნატო შავლაყაძე.

-„თუ თქვენს ოჯახში ერთხელ მაინც მოხდა ძალადობა და თქვენ ეს გადაყლაპეთ, უნდა იცოდეთ, რომ უფრო მეტის გადაყლაპვა მოგიწევთ, სანამ ძალადობა არ დაგაბრჩობთ. გამოსავალი არ იქნება, თუ დროზე არ გადადგით ნაბიჯი და არ უთხარით ძალადობას „არა“! ოჯახში ძალადობა პირდაპირ, თუ ირიბად ყოველთვის ახდენს გავლენას ბავშვზე. მოძალადის მხრიდან ხშირია ბავშვებით მანიპულირება, ფსიქოლოგიური ძალადობა ბავშვების თემით: „ თუ გამეყრები, ბევშვებს წაგართმევ, დედობას ჩამოგართმევ...“ როცა მოძალადე ოჯახის წევრებზე ძალაუფლების და კონტროლის მოპოვების გზით, ყოველთვის აღწევს მიზანს, მათ უყალიბდებათ განცდა, რომ ძალადობით ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია. ბავშვების ნაწილი ამ როლს ითვისებს და თავის ურთიერთობებს სწორედ ძალადობრივ ქმედებებზე აგებს.

სამწუხარო ტენდენცია გვაქვს რეგიონებში, სადაც ოჯახში ძალადობის გამოვლენა ისევ პრობლემურია, სანამ ძალადობა უკიდურეს მასშტაბს არ მიაღწევს, ადამიანები არ მიმართავენ სამართალდამცავებს. რეგიონში ყველა ყველას იცნობს და მსხვერპლს ყოველთვის აქვს იმის შიში, რომ მოძალადე, რომელიც შეიძლება პოლიციელის ბიძაშვილი, ნათესავი, ახლობელი იყოს, არ დაიცავს მას. მთავარი პრობლემა კი ცნობიერებაშია, ჩვენს მდგომარეობას იმდენად ვეჩვევით, რომ არც გვინდა აღიარება, რომ პრობლემა გვაქვს.“-ამბობს ძალადობისგან დაცვის რეგიონული კოორდინატორი ელისო ამირეჯიბი და აქვე ერთ შემთხვევას იხსენებს,- „მინდა გავიხსენო, როცა ოჯახის ქალიშვილზე მისი მეუღლე(ანუ ოჯახის სიძე) ძალადობდა. გოგონას დედას შესაძლებლობა ჰქონდა, რომ მისი ქალიშვილი მოძალადისგან გაერიდებინა და საცხოვრებლად ცალკე გაეყვანა. როცა ვკითხეთ, ამას რატომ არ აკეთებდა, ქალბატონი მოგვიტრიალდა და გვითხრა, ჩემი ქმარი მთელი ცხოვრება მცემდა, მაგრამ ოჯახი არ დამინგრევია-ო. ფასეულობების პრობლემაც გვაქვს. ჩვენ ძალიან მოგვწონს, როცა მეზობლები ამბობენ, რა მშვენიერი ოჯახია, რა კარგი სიძე ჰყავთ, რა ლამაზად ცხოვრობენ და ასე შემდეგ. ანუ, ვმუშაობთ გარეგნულ ეფექტზე და თუ პრობლემა ოჯახიდან გამოიტანე, გლანძღავენ, უცებ ამორალური ქალის დამღასაც მოგაკერებს მოძალადე, ოღონდ თავი იმართლოს. სამწუხარო რეალობაა, რომდესაც თვითმმართველობაშიც მუშაობენ ისეთი თანამშრომლები, რომლებიც მსხვერპლს ადანაშაულებენ და არა მოძალადეს. ეს პრობლემა არის ნამდვილად, ამას თვალი უნდა გავუსწოროთ, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მათი და იმ საზოგადოების მენტალობის პრობლემაა, რომელშიც ცხოვრობენ. ის, რომ ქმარს ქალი სიკვდილის პირამდე მიჰყავს, ის, რომ ამ ოჯახებში ბავშვებიც იზრდებიან, რომლებიც შემდეგ თავად ხდებიან მოძალადეები, არ აინტერესებთ. მსგავსი ქმედებებით თავად საზოგადოება ძალადობს ქალზე და აიძულებს, რომ ითმინოს. ჩვენ ამ დაკვეთაზე უნდა ვთქვათ -„არა“! სწორედ ამიტომ შევიტანეთ კანონპროექტის ახალი პაკეტი პარლამენტში ჩვენი იურისტის დახმარებით, რომ თვითმმართველობაც ჩართული იყოს ამ პროცესში, პარლამენტმა, როგორც მოგეხსენებათ კანონი მეორე მოსმენით მიიღო!“-აცხადებს ელისო ამირეჯიბი.

გამოეგზავნა თუ არა რეგიონებს პარლამენტის მიერ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილების“ შესახებ ცნობა და თუ მოჰყვა ამას რაიმე ქმედითი ღონისძიებები, ინფორმაციას შემდეგ ნომრებში მოგაწვდით.

ლალი მეხრიშვილი

სოსო გოგაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, გია გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ომარ ალადაშვილი, მარიკა გონაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, გურამ ნიკოაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, მარინე კაკალაშვილი, დათო რობიტაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნონა და ნოდარ ბაცაცაშვილების ოჯახებს

რაია ბაცაცაშვილის

გარდაცვალების გამო.

კლასიკური მუსიკის ზეიმი

ჩვენი თანამემამულის, არბოშიკელი პროფესორის, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და ქართული მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ალექსანდრე ალადაშვილის დაბადებიდან 140-ე წლისთავს მიეძღვნა კონცერტი, რომელიც დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა. კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის დაუვიწყარი საღამო საერთაშორისო ფესტივალის, „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში ჩატარდა. საღამო სიტყვით გახსნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა, ხოლო კონცერტისა და ფესტივალის შესახებ ისაუბრა მისმა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მანანა დავითაშვილმა.

დედოფლისწყაროელების წინაშე წარსდგნენ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური სიმებიანი კვარტეტი(ხელმძღვანელი-პროფესორი ნოდარ ჟვანია). სტუდენტებმა ყველასათვის საყვარელი ნაწარმოებები შეასრულეს და დამსწრე საზოგადოების ხანგრძლივი ოვაციებიც დაიმსახურეს.

დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში გამართული კონცერტის მთავარი გმირი გახლდათ მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, ამჟამად ალაბამას უნივერსიტეტის პროფესორი ედიშერ სავიცკი, რომელიც ქართული სამედიცინო სკოლის ფუძემდებლის ალექსანდრე ალადაშვილის შვილთაშვილი გახლავთ. ის თავისი ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა დედოფლისწყაროში, რომელიც მისი დედის-მაკა ალადაშვილის სამშობლოა. მან მსმენელს შეუსრულა პროკოფიევის სონატა N7, რომლის მესამე ნაწილიც საქართველოშია დაწერილი.

„1941 წელს, როდესაც მოხდა რუსული ინტელიგენციის ევაკუაცია მოსკოვიდან, პროკოფიევი აღმოჩნდა საქართველოში. ის იმ დროს მოხვდა თბილისში, როდესაც აქ დუღდა კულტურული ცხოვრება. მას ძალიან უყვარდა ქართული ფოლკლორი, ქართული ცეკვა. ამიტომ არსებობს ვერსია, რომ ამ სონატის მესამე ნაწილში სწორედ ქართული ცეკვის „ხორუმის“ ელემენტები სჭარბობს. სონატა საკმაოდ დრამატულია და ხმაურიანი“-აღნიშნა ედიშერ სავიცკიმ. თუმცა, მისი ვირტუოზული შესრულებისას მსმენელს არ შექმნია იმისი შეგრძნება, რომ ნაწარმოები გაწელილი იყო, პირიქით, საღამოს დასრულების შემდეგ ყველას უკმარისობის განცდა დარჩა. მსმენელთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ გაცილებით მეტი ნაწარმოების მოსმენას ისურვებდნენ ისეთი პროფესიონალებისგან, რომლებიც ამ დღის სტუმრები იყვნენ.

კონცერტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელები და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სასულიერო პირები დაესწრნენ. დარბაზში იმყოფებოდნენ ალექსანდრე ალადაშვილის შთამომავლებიც.

ფესტივალი დაარსდა 2006 წელს “სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდისა” და “აკაკი რამიშვილის ფონდის — ტრადიცია და ინოვაცია”-ს მიერ. ფესტივალი ყოველწლიურად იწყება თბილისში, აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში და გრძელდება ამაღლების დღესასწაულამდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ყოველ წელიწადს ფესტივალს სხვადასხვა სამხატვრო ხელმძღვანელი - ქართული კულტურის გამორჩეული წარმომადგენელი ჰყავს. ფესტივალის მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება ტრადიციული და კლასიკური ხელოვნებით, უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაცია სამშობლოში და ქართული კულტურით დაინტერესებული უცხოელი შემსრულებლების შემოქმედების წარმოჩენა საქართველოში. დედოფლისწყაროელმა მსმენელმა 19 მაისს ცოცხლად მოუსმინა მსოფლიო დონის პიანისტ ედიშერ სავიცკს, რომლის ფესვებიც დედოფლისწყაროშია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

კონცერტის დასრულების შემდეგ გაზეთმა „შირაქმა“ ცნობილ პიანისტს კომენტარი სთხოვა:

ედიშერ სავიცკი: ***„მნიშვნელოვანია, რომ უშუალოდ დედოფლისწყაროში ჩატარდა ეს კონცერტი და კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, რომ საღამო ჩემი დიდი ბაბუის, ალექსანდრე ალადაშვილის დაბადების 140 წლისთავს მიეძღვნა. ის ამ რაიონიდან იყო და საოცარი განცდაა, როცა მის მხარეში აღინიშნა ეს დღე. ძალიან დიდი ხანია დედოფლისწყაროში არ ვყოფილვარ, ბავშვობის შემდეგ ვერ მოვახერხე აქ ჩამოსვლა. 18 წელი ამერიკაში ვცხოვრობდი და ალბათ ამიტომ. მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. დიდი სითბო და სიყვარული გამოხატეს ჩვენს მიმართ, საოცარი მასპინძლობა გაგვიწიეს. საოცარი დღე იყო, მართლაც ძალიან მშვენიერი ბუნება და გარემოა ამ რაიონში. იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით და ეს მოხდება ისევ დედოფლისწყაროში. დიდი სურვილი მაქვს, კიდევ ჩავატარო კონცერტი და ვფიქრობ, მეგობრებთან ერთად დავგეგმავ გაცილებით უფრო ვრცელ საკონცერტო პროგრამას. ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მზაობა გამოხატა და იმედია, მალე მოხერხდება“.***

ინგა შიოლაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ირინა ფოცხვერაშვილს!

დავით ჩალახეშაშვილს!

გილოცავთ შვილიშვილის, პატარა ანასტასია სუხიტაშვილის დაბადებას. გისურვებთ კიდევ მრავალი ასეთი სასიხარულო ამბავი ყოფილიყოს თქვენს ოჯახში. გამრავლდით შვილებსა და შვილიშვილებში. თმებზე თეთრად დაგათოვოთ. ახლადდაბადებულ ანასტასიას კი, ვუსურვებთ ლამაზ ბავშვობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

ოზაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით მალე დაიწყება ქ. დედოფლისწყაროში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მოხატვა. შესასრულებელი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით გახსნილია ანგარიშები, რომელზეც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩარიცხოს თანხა. შევეწიოთ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ლარის ანგარიშის რეკვიზიტები
ს.ს. „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი- TBCBGE22
მიმღების დასახელება-დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი ანგარიშსწორების ანგარიში-GE64TB7941036080100004

FOR USD TRANSFER — თიბისი ბანკი TBC BANK

INTERMEDIARY:	CITIBANK N.A. NEW-YORK, USA SWIFT: CITIUS33 ABA: 021000089	DEUTSCHE BANK TRUST COMPANY AMERICAS NEW-YORK, USA SWIFT: BKTRUS33 ABA: 021001033
BENEFICIARY'S BANK:	HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22 JSC "TBC Bank", Head Office SWIFT: TBCBGE22	
BEN'S Account:	GE92 TB79 4103 6180 1000 01	
NAME OF BENEFICIARY:	DEDOPLISTSKARO VIRGIN CATHEDRAL CHURCH	

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.05	სამშაბათი 24.05	ოთხშაბათი 25.05	ხუთშაბათი 26.05	პარასკევი 27.05	შაბათი 28.05	კვირა 29.05
დღე	16 °	20 °	17 °	20 °	20 °	20 °	23 °
ღამე	15 °	15 °	16 °	19 °	16 °	19 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.